◇ დღეს ქ. ზუგდიდში მოწვეულია ახალგაზრდა მეჩაიეთა და მეციტრუსეთა რესპუბლიკური შეკრება ◇

ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, ისწავლეთ კომუნისტურად მუშაობა და ცხოვრება! გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!

◇ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან ◇

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთების 46-ე წელი. № 89 (13483) | ოთხშაბათი, 20 აპრილი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.



ზუთხლედი გიზმოებთ, ახალგაზრდებო!

ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, ისწავლეთ კომუნისტურად მუშაობა და ცხოვრება! გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!

საპირველმაისო მოწოდებათა ეს სიტყვები ნათლად გამოხატავენ პარტიისა და მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის ზრუნვას, სიყვარულს ჩვენი ახალგაზრდობისადმი. ამ ზრუნვას, ამ სიყვარულს საბჭოთა ჭაბუკები და ქალიშვილები მუდამ უპასუხებდნენ თავდადებული შრომით, ბეჯითი სწავლით, ომის დროს ბრძოლით, მშვიდობის დროს შენებით.

— წავიკითხეთ პარტიის XXIII ყრილობის დირექტივები. მთელი გულით ვიწონებთ. ვიმუშავებთ ისე, რომ პარტიამ გვითხრას: „ყოჩაღ, ახალგაზრდებო!“, — ასე ფიქრობენ ჭაბუკები და ქალიშვილები.

— ვიმუშავებთ ისე, რომ პარტიამ მოგვიწონოს! — სწორედ ამ დევიზით ჩაივლის ახალგაზრდა მეჩაიეთა და მეციტრუსეთა ტრადიციული, რესპუბლიკური IV შეკრებაც, რომელიც დღეს ზუგდიდში გაიხსნება.

ხუთწლედის პირველი გაზაფხული შრომის ფრონტზე იხმობს მამაც, უნარიან, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ჩვენს მეჩაიე და მეციტრუს ახალგაზრდობას. მაღალი მოსავლის ახალგაზრდა ოსტატები, მტკიცედ რომ უპყრიათ უფროსი თაობებისაგან მიღებული ესტაფეტა, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, კვლავაც გაახარებენ სამშობლოს ჩვენი საკოლმეურნეო მინდვრების უხვი მოსავლით.

საქართველო სამართლიანად ამაყობს ჩვენი სახელოვანი სოციალისტური შრომის გმირი ახალგაზრდებით, მათი სახელი შორს გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. ზუგდიდელ ვინარი სხულუხიას, მახარაძელ კლავდია ნაცვალაძეს, წულუკიძელ დალი წივწივაძეს, ქობულეთელ ქეთევან გოგიტიძეს, ჩხოროწყუელ ნათელა შენგელიას, წალენჯიხელ სულიკო სამუშიას სწორედ ჩაის ფრონტზე მამაცური შრომისათვის მიანიჭა სამშობლომ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

ეჭვი არ არის, რომ წელს კიდევ უფრო იმრავლებს ახალგაზრდა გმირთა რიგები.

ჩვენი სალამი ახალგაზრდა მეჩაიეებისა და მეციტრუსეების რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს!

ახალი ხუთწლედის კირჟელი წელი გვიხმობს ახალ-ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის, ჩვენო სახელოვანო ახალგაზრდებო!

წელს რესპუბლიკაში უნდა მოიკრიფოს:

195.000 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი

21.600 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი

აი, რისთვის უნდა ვიშრომოთ წელს, ახალგაზრდებო!

შესანიშნავი თაოსნობა

სკოლის შემდეგ — კოლმეურნეობაში

კასპის რაიონის X-XI-კლასების მოსწავლეთა წერილი მეჩაიეთა და მეციტრუსეთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს

◆

ჩვენ რაიმე განსაკუთრებული არ გაგვიკეთებია. ყველამ პირი პირს მივეცით და გადავწყვიტეთ, რომ საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვიმუშაოთ ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, წარმოება-დაწესებულებებში და მშენებლობებზე ჩვენი დედებისა და მამების, ჩვენი უფროსი დებისა და ძმების გვერდით.

ბევრი თქვენგანიც ალბათ ამ აზრისაა და, ადვილად შესაძლებელია, თქვენც ასევე გადაგწყვიტათ და მიგემართათ თანატოლებისადმი. ჩვენ აუცილებლად დაგიჭერდით მხარს.

ზოგიერთი, ვინც თავის ხვალინდელ დღეზე არ ფიქრობს, ვინც იოლად უყურებს ცხოვრებას და მხართეძოზე წამოწოლას აპირებს, მაგათ ფეხის ხმას არ ავყვებიო, იტყვის ჩვენზე. მაგრამ ეს ჩვენი ფეხის ხმა კი არა, გულის ხმაა, ჩვენი ფიქრი და გულისწადილია, ცხოვრების სწორი გზის პოვნის სურვილია.

შრომა რომ გადავწყვიტეთ, სწავლის ფიქრზე ხელი როდი აგვიღია. ჩვენამდეც ბევრი მოქცეულა ჩვენსავით და, როგორც იტყვიან, ჭკუა არ წაუგიათ. ჩვენს რაიონში თითქმის ყველა იცნობს დღეს უკვე შრომით სახელგანთქმულ კომკავშირელებს: იზოლდა პავლიაშვილს, ომარ ტატუნაშვილს, გურამ ყარანაშვილს, სულიკო ბუდაღაშვილს, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თანასოფლელებს მხარში რომ ამოუდგნენ და, შეიძლება ითქვას, საქმეშიც ტოლსაც არ უდებენ. თანაც დაუსწრებლად უმაღლეს განათლებას იღებენ. ზოგი აგრონომი იქნება, ზოგიც ზოოტექნიკოსი და ინჟინერი. ასე რომ, სოფლად დარჩენამ და ალალმა შრომამ ხელი კი არ შეუშალა, პირიქით, მიზანი აპოვნინა და ცხოვრების მართალ გზაზე გამოიყვანა ისინი.

ტყუილად როდი უთქვამს ხალხს — ცხოვრების მართალი გზა შრომაზე გადისო.

როგორც შევიტყეთ, დღეს ზუგდიდში ახალგაზრდა მეჩაიეები იკრიბებიან. ამ ახალგაზრდა მეჩაიეთაგან ბევრია საშუალო სკოლადამთავრებული. ზოგმა უკვე საქვეყნოდაც გამოიჩინა თავი. ვიცით, რა ძნელია ჩაის კრეფაში თავის გამოჩენა. თუ გულს არ მიაყოლებ საქმეს, არაფერი არ გამოგივა. შარშან ჩვენი რაიონიდან ასამდე ახალგაზრდა იყო წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. დასახმარებლად ჩავედით, გულით ვიმუშავეთ, თავი არ შეგვირცხვენია. არა, ამ დახმარებას ვინმეს კი არ ვაყვედრით, თუ საჭირო გახდა, კვლავაც ჩავალთ და მხარში ამოვუდგებით, მაგრამ განა უკეთესი არ იქნება, რომ ყველა რაიონის ახალგაზრდობამ თვითონ იკისროს თავისი კუთხე-მიწა-წყალის, თავისი სოფლის, დაბის, თავისი რაიონის ეკონომიურად გაღონიერებაც და დამშვენებაც. სხვა არა იყოს რა, თავი მოგწონს, გეამაყება, რომ ლამაზი, შრომით დამშვენებული, ღონიერი რაიონიდან ხარ.

ამ ფიქრით, ამ აზრით გადაწყვიტეს ქვემო ჭალის X-XI კლასელებმა თავიანთ რაიონში დარჩენა, უფროსების მხარში ამოდგომა. ეს ამბავი საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომში გაიგეს, მოიწონეს და, ჩვენს რაიონულ გაზეთში ქვემოჭალელთა წერილი რომ გამოქვეყნდა, ბევრმა დაუჭირა მხარი ამ ნამდვილად კარგ წამოწყებას.

ჩვენს რაიონში წელს 857 ახალგაზრდა ამთავრებს X და XI კლასებს. დღეს უკვე თითქმის ყველამ ვიცით — ვინ სად ვიმუშავებთ, ვინ სად გამოვადგებით ქვეყანას, ხალხს. ყველას ჩვენ-ჩვენი ადგილი გვაქვს მიჩენილი. ეს ამბავი, ცხადია, კიდევ უფრო ბუნებრივს ხდის და ამართლებს ჩვენს გადაწყვეტილებას. არა, ჩვენი თავის ანაბარა კი არა ვრჩებით ცხოვრების გზაზე, არამედ პარტია, ხალხი, სამშობლო ზრუნავს ჩვენზე, და ამიტომაც არის ასე გულადად რომ ვლაპარაკობთ.

მოდი, როგორც იტყვიან, მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს, და ალალი შრომისა ნუ შეგვრცხვება. შრომაა თავი და თავი ყოველი სიკეთისა, ჭეშმარიტი სიხარულისა და ბედნიერებისა.

სამშობლოს ყველგან ვჭირდებით. ვიშრომოთ კიდეც და ვისწავლოთ კიდეც. ნურც შრომაში შევირცხვენთ თავს და ნურც ნათქვამის შესრულებაში.

აი ამიტომ მოგმართავთ ყველას, ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, ვინც წელს უნდა გამოეთხოვოს თავის საყვარელ სკოლას!

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენი ცხოვრების გზა შრომაზე გადის. იმედია, ძვირფასო თანატოლებო, თქვენც იტყვით თქვენს სიტყვას.

კასპის რაიონის სკოლების მოსწავლეთა სახელით: ლალი ბალსამიშვილი, ირანაზი პავლიაშვილი, ზიზიკო დვალიშვილი, ციური ყარანაშვილი, თენგიზ თავზაპაძე, ოთარ კარგელაშვილი — ქვემო ჭალის საშუალო სკოლა; იზოლდა მარჯანიშვილი, ლარისა სანიშვილი, ნარა დვალიშვილი, მეგლურ ჯაბაძე — აღიანის საშუალო სკოლა; ზვინაბ კოტაძე, დიმიტრი ლელაშვილი, ჯემალ ბაგბაძე, თამაზ უურაშვილი — ზოგლის საშუალო სკოლა; მაყვალა ლაცაბიძე, რომან ახვლედიანი, გულნარა მოდრეკილაძე, ელგუჯა ჯანჯალაშვილი — კვეთისხევის საშუალო სკოლა. სულ წერილს ხელს აწერს 620 ახალგაზრდა.

შრომა და სწავლა

ახარაძელმა კლავდია ნაცვალაძემ, წულუკიძელმა დალი წივწივაძემ, ზუგდიდელმა ვინარი სხულუხიამ, ქობულეთელმა ქეთევან გოგიტიძემ ერთმანეთი გაიცნეს არც ისე დიდი ხნის წინათ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, კომკავშირის ყრილობაზე.

ეს სურათიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა შ. ჩხეტიანმა გადაიღო ყრილობის დარბაზში, სხდომათა შორის შესვენების დროს, როცა სახელოვანი მეჩაიე ქალიშვილები გაზეთის ახალ ნომერში წაკითხულით მიღებულ სიხარულს უზიარებდნენ ერთმანეთს. მათ ადრეც სმენიათ ერთმანეთის შესახებ, გაზეთებშიც ბევრი წაუკითხავთ, რადიოთიც ხშირად მოუსმენიათ ერთიმეორის წარმატებებზე. ახლა კი პირადად გაიცნეს ერთმანეთი.

და აი ამ მომენტიდან ოციოდე დღესაც არ გაუვლია, რომ ჩვენი ქვეყანა მოწმე გახდა სასიხარულო ამბისა — შრომაში სახელმოხვეჭილ ამ ქალიშვილებს მადლიერმა სამშობლომ მარჯვენა შეუქო და სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიანიჭა.

ახლა მათი სახელი შორს, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც არის ცნობილი, მათი სახელოვანი შრომითი საქმეებით ამაყობს აღმზრდელი სკოლაც, კომკავშირიც, ამაყობს ხალხი. ისინი საშუალო სკოლის კურსის დამთავრების შემდეგ ხალისით დარჩნენ მშობლიურ კოლმეურნეობებში და ჩაებნენ შრომითს ფერხულში. ამასთან დაუსწრებლად სწავლა გაწაგრძეს უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ეუფლებიან მეცნიერებას, სპეციალობას.

— მე მიყვარს ჩემი სოფელი, ჩემი კოლმეურნეობა, — ამბობს სოციალისტური შრომის გმირი ვინარი სხულუხია, — ამიტომაც ხალისით დავრჩი აქ სამუშაოდ.

ამ ქალიშვილების მაგალითი ურჩევს ყველას, ვინც საშუალო სკოლას ამთავრებს, დარჩნენ სამუშაოდ თავიანთ სოფლებში, მოიხადონ თავიანთი პატრიოტული ვალი იმ ყურადღებისა და დახმარებისათვის, რაც მათ პარტიამ, სამშობლომ გაუწიეს. ბეჯითი შრომა კი არ უშლის ხელს ახალგაზრდას წინსვლაში, არამედ იგი პირველი პირობაა მისი ზრდისათვის, ცოდნის, განათლების მიღებისათვის.

ჩვენი უმაღლესი სკოლის კარები ყოველთვის ღიაა შრომაში ბეჯითი, სახელმოხვეჭილი ახალგაზრდებისათვის.

* * *

სურათზე: საქართველოს სახელოვანი მეჩაიეები, სოციალისტური შრომის გმირები (მარცხნიდან მარჯვნივ) კლავდია ნაცვალაძე, დალი წივწივაძე, ვინარი სხულუხია და ქეთევან გოგიტიძე.

ახალგაზრდობა — აქტიურ ბრძოლაში

ჩაი, ციტრუსი ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. შარშან, მიუხედავად ხანგრძლივი გვალვებისა, ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 23.770 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმას გადაჭარბეს. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს ახალგაზრდობას.

შარშან რაიონის ჩაის პლანტაციებში 137 ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა მუშაობდა. წელს უფრო მეტი მანქანა იმუშავებს. ჩაიც მეტი გვექნება. მოსაკრეფი და ციტრუსებიც. ყოველივე ეს დიდი ამოცანების წინაშე გვაყენებს, ახალი გმირული შრომისათვის გვიხმობენ მშობლიური სოფლის მინდვრები, ბაღ-ვენახები, ჩაის პლანტაციები, მშენებლობები...

რაიონის ხუთასზე მეტმა ახალგაზრდამ, რომლებიც წელს ამთავრებენ საშუალო სკოლას, გადაწყვიტა წავიდეს სამუშაოდ, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და ენგურჰესის მშენებლობაზე. მსურველთა რიცხვი ყოველდღე მატულობს. უმეტესობა მშობლიურ სოფელში ითხოვს სამუშაოდ დარჩენას.

განა თავის დროზე ასე არ მოიქცა ახალგაზრდა კომკავშირელი გოგონა ვინარი სხულუხია? იგი საშუალო სკოლიდან პირდაპირ მშობლიურ კოლმეურნეობაში მივიდა სამუშაოდ, ბეჯითად დაეუფლა მეჩაიეობას, შრომით დაწინაურდა და დამსახურებულად მოიპოვა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო სახელი.

უეჭველია, წელსაც ნაყოფიერი შრომით სახელს მოიხვეჭენ ზუგდიდელი შრომისმოყვარე, სწავლისმოყვარე ჭაბუკები და ქალიშვილები.

თინა ჯღამაძე.
საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი.

ნათელი გზით

რა არის იმაზე საამაყო და აღმაფრთოვანებელი, სიამის მომგვრელი, ვიდრე ის, რომ შენს აღმზრდელ მშობლებსა და სოფლის მკვიდრებს გვერდში ამოუდგე და ამაგი შრომით, გარჯით, სწავლით გადაუხადო.

წელს ერთსა და იმავე დროს ამთავრებენ სკოლას მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლენი. ეს ერთგვარ სირთულეს ქმნის. ყველა ხომ ერთბაშად ვერ შევა უმაღლეს სასწავლებლებში? მაშ რა უნდა გააკეთოს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდამ იმაზე უკეთესი, ვიდრე ის, რომ მშობლიური სოფლის მშრომელებს ამოუდგეს გვერდში და პროდუქციის სიუხვისათვის იზრუნოს.

ჩვენი რაიონის ასობით ახალგაზრდამ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შრომის პარალელურად მიიღო უმაღლესი განათლება და ახლა კვლავ წარმატებით შრომობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ამჟამად რაიონის 297 ახალგაზრდა დაუსწრებლად იმაღლებს ცოდნის დონეს.

წელს ჩვენი რაიონის 931 ახალგაზრდა ამთავრებს საშუალო სკოლას. აქედან დიდი უმრავლესობა — 604 ახალგაზრდა სახალხო მეურნეობაში რჩება სამუშაოდ. გარდა ამისა კომკავშირის რაიკომში კვლავ შემოდის ახალგაზრდების განცხადებები სამუშაოზე წასვლის შესახებ. ეს პატრიოტული საქმეა. ასე იქცევიან ისინი, ვისაც თავისი სამშობლო უყვარს, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური სოფლისა თუ ქალაქის სახელი და ღირსება.

ი. მგალობლიშვილი.
საქართველოს ალკკ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი.

მეტი ჩაი, ციტრუსები სამშობლოს!

სურათზე: კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეები (მარცხნიდან მარჯვნივ) რ. ბაბუაშვილი, ლ. ბალსამიშვილი, თ. ოლაძე, ზ. დვალიშვილი, თ. თავზაკაძე, მ. აბულაძე, ი. ნადირაძე, კ. გამხიტაშვილი და ბ. ბათლაშვილი.

ფოტო ს. კილაძისა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებზე საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 43-ე, 44-ე და 45-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქი № 676

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **გრიგალაშვილი** ბარბარე ნიკოლოზის ასული — პირველი მაისის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **პაპიაშვილი** ვასილ ალექსანდრეს-ძე — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროლუსშენი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **სეფაშვილი** ალექსანდრა არჩილის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

აბაშიძე ლეონა მიხეილის ასული — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოლექტივისაგან.

გალუსტიანი ლევან ჰაიკის-ძე — ელექტრო-ტექნიკური ქარხნის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციისაგან.

ერმაკოვი ნიკოლოზ ივანეს-ძე — რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ამიერკავკასიის თბილისის სალოკომოტივო დეპოს პირველადი ორგანიზაციისაგან.

ლეფავა თამარ შერბაქის ასული — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების პირველი მაისის რაიონის საბჭოს აღმასკომის პირველადი ორგანიზაციისაგან.

მუნჯიშვილი როზა ვლადიმერის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის კონიაკის ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან.

სოლოშენკო ივანე ივანეს-ძე — თბილისის გარნიზონის სამხედრო მოსამსახურეთაგან.

უნდილაშვილი ქიტესა სიმონის-ძე — მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ლომთათიძე დავით ივანეს-ძე — თბილისს 29-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქი № 677

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **რიგვავა** სერგო ტარასის-ძე — ქ. თბილისის კალინინის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ურუშაძე** გიორგი სიმონის-ძე — კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ცხობკომბინატის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **დეფურიშვილი** ნინო ივანეს ასული — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

არჩვაძე არჩილ ნიკოლოზის-ძე — თბილისის 65-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

დამბაშიძე ლეილა ბიძინის ასული — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივისაგან.

ყიფიანი თამაზ ვლადიმერის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის კალინინის რაიონული ორგანიზაციისაგან.

კირვალიძე ელენე ნიკოლოზის ასული — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის მარმელადის ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

მინდაძე გალაქტიონ ალექსის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის კოლექტივისაგან.

მკრტუმიანი სვეტლანა აიკაზის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების „საქტრიკოტაჟის“ თბილისის ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

მენაღარიშვილი მუზა ალექსანდრეს ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის 24-ე პოლიკლინიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

სტრუნენკოვი თევდორე ფილიპეს-ძე — მექანიკური ქარხნის კოლექტივისაგან.

თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი № 678

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **კარანაძე** აკაკი გრიგოლის-ძე — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **პაპიტაშვილი** გერმანე ვასილის-ძე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **საჯაია** თამარ აკაკის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

უბერი ლუდმილა დავითის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების ქ. თბილისის ბავშვთა № 9 პოლიკლინიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

ფალავა ივლიტა სეკერინეს ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის მეცნიერ-მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

მრეველიშვილი თინათინ ნიკოლოზის ასული — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისაგან.

ივანოვა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების ქ. თბილისის ინსტიტუტის „სახპროექტალაქმშენის“ პირველადი ორგანიზაციისაგან.

სპირიდონოვი პორფილე ისაკის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის წალკის რაიონული ორგანიზაციისაგან.

პაპაშვილი სულიმან დავითის-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი ორგანიზაციის მთავარობილმშენის № 5 სამშენებლო სამმართველოს პირველადი ორგანიზაციისაგან.

ბიჩინაშვილი ალბერტ დავითის-ძე — თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთკვის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ქავთარაძე დავით არჩილის-ძე — თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდას კოლმეურნეობის წევრებისაგან.

თბილისის ოქტომბრის საარჩევნო ოლქი № 679

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **დანელია** მელიტონ მიხეილის-ძე — ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ურუშაძე** გიორგი სიმონის-ძე — კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ცხობკომბინატის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **დეფურიშვილი** ნინო ივანეს ასული — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

აბაშიძე ლეონა მიხეილის ასული — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოლექტივისაგან.

გალუსტიანი ლევან ჰაიკის-ძე — ელექტრო-ტექნიკური ქარხნის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციისაგან.

ერმაკოვი ნიკოლოზ ივანეს-ძე — რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ამიერკავკასიის თბილისის სალოკომოტივო დეპოს პირველადი ორგანიზაციისაგან.

ლეფავა თამარ შერბაქის ასული — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების პირველი მაისის რაიონის საბჭოს აღმასკომის პირველადი ორგანიზაციისაგან.

სპირიდონოვი პორფილე ისაკის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის წალკის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ინასარიძე ნინო ვლადიმერის ასული — ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავეს შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

სარქისიანი ვაღარშაკ უნანის-ძე — საქართველოს კომუნისტური პარტიის ბოგდანოვკის რაიონული კომიტეტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

შიბაკიანი აზატ ამაიაკის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბორის საარჩევნო ოლქი № 682

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ბერიანიძე** შალვა ზაქარიას-ძე — გორის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **კალანდია** ელენე გაბრიელის ასული — ცხინვალის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **მშვიდობაძე** ბეჟან იასონის-ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გორის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ოსიტაშვილი შოთა საბას-ძე — ზნაურის რაიონის სოფელ თიღვას კოლმეურნეობის წევრებისაგან.

მღებრიშვილი ციური სამსონის ასული — ქარელის რაიონის რუისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

პარასტაევი პავლე ნიკოლოზის-ძე — ჯავის რაიონის სოფელ ბუზალას კოლმეურნეობის წევრებისაგან.

სალამოვი გიორგი ვასილის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ლენინგორის რაიონული ორგანიზაციისაგან.

წითურაული ლული აკუსენტის ასული — გორის რაიონის ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

დუდაევი თენგიზ გიორგის-ძე — ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

მეკელიშვილი მერი სოკრატის ასული — გორის ბამბიულის კომბინატის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ხუციშვილი სოფიო ნიკოლოზის ასული — ქარხანა „ელექტროაპარატის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

გურჯაანის საარჩევნო ოლქი № 683

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **აზაფაშვილი** გიგი ევგენის-ძე — გურჯაანის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **დავითაშვილი** ავთანდილ მიხეილის-ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ყვარლის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ოსიპოვა** ხარისუშა სერგოს ასული — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ბასილაშვილი ელენე გიორგის ასული — გურჯაანის რაიონის კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

დავითაშვილი მერი ალექსანდრეს ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ლენინგორის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჯაკაშვილი სერგო გიორგის-ძე — სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

კირვალიძე უშანგი ვლადიმერის-ძე — ლენინური კომუნისტური კავშირის თელავის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ქორთუა ნიკოლოზ მელიტონის-ძე — თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისაგან.

ჭუტაშვილი ციალა გაიოზის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის სიღნაღის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მაისურაძე რუზანა სისოს ასული — ლაგოდეხის რაიონის ქ. ლაგოდეხის მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ფოფიტაშვილი ალიოშა ალიოშის ასული — ბათუმის რაიონის სოფელ წინსელის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

თავდგირიძე სპირიდონ ლევანის-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ბათუმის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

კორალიძე მეკლედ რევაზის-ძე — ხულოს რაიონის სოფელ დეკანაშვილების კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ბორჯომის საარჩევნო ოლქი № 681

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **კულულაშვილი** შოთა მოსეს-ძე — ბორჯომის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ცინაძე** ოთარ პლატონის-ძე —ასპინძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **გობრონიძე** ვლადიმერ ანდრიას-ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

სეხნიაშვილი ეფეფანა იოსების ასული — კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ბორჯომის ჩამოსახმელი ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან.

ბიწაძე მარია დავითის ასული — ხაშურის საშენმასალათა კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ანაიძე ნელი გიორგის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის „საქვაჭრობის“ ხაშურის განყოფილების პირველადი ორგანიზაციისაგან.

ბერიძე ქსენია ანანიას ასული — ახალციხის რაიონის აწყურის მერძევეობა-მეცხოველის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

აკოფაშვილი გაბრიელ ანტონის-ძე — ადიგენის რაიონის სოფელ არალის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ინასარიძე ნინო ვლადიმერის ასული — ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავეს შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

სარქისიანი ვაღარშაკ უნანის-ძე — საქართველოს კომუნისტური პარტიის ბოგდანოვკის რაიონული კომიტეტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

შიბაკიანი აზატ ამაიაკის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბათუმის საარჩევნო ოლქი № 680

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **კოპლატაძე** აფერკინ ივანეს-ძე — ბათუმის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **სირაბიძე** შოთა მემედის-ძე — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ქედის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **კიკნაძე** გულიკო ზაბიტის ასული — პროფკავშირთა აჭარის საოლქო საბჭოსაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მახარაძე ბიძინა ჰაიდარის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციისაგან.

გვაზავა ნელი ვლადიმერის ასული — ბათუმის ფეხსაცმლის № 4 ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ემელიანოვა ტაისია ილარიონის ასული — ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყოს“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ფოლავა ივლიტა სეკერინეს ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის მეცნიერ-მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

მრეველიშვილი თინათინ ნიკოლოზის ასული — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისაგან.

ივანოვა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების ქ. თბილისის ინსტიტუტის „სახპროექტალაქმშენის“ პირველადი ორგანიზაციისაგან.

სპირიდონოვი პორფილე ისაკის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის წალკის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ინასარიძე ნინო ვლადიმერის ასული — ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავეს შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ბარამიძე ეკატერინე ალექსანდრეს-ძე — ბორჯომის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბაბაიანი ეფემია ალექსანდრეს-ძე — ბორჯომის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბაბალიანი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

(გაგრძელება)

ვის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

თბილისის ოქტომბრის საარჩევნო ოლქი № 164

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **აბაშმაძე** კარლო ვლადიმერის-ძე — თბილისი ოქტომბრის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ჯაში** გალინა უშანგის ასული — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ჩხოლარია** ნელი დავითის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ჭარელიშვილი იოსებ კონსტანტინეს-ძე — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

ლორია გიორგი გიორგის-ძე — სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის საპროექტო ინსტიტუტის „გრუზგიპროტრგის“ პირველადი ორგანიზაციისაგან.

ვლადიმიროვა ვერა ვლადიმერის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის საოფლის მეურნეობის ტექნიკის მთავარი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს პირველადი ორგანიზაციისაგან.

ტატოიანი სედა სიმონის ასული — არმაის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის 38-ე სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

კილოსანიძე თენგიზ კონსტანტინეს-ძე — ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივისაგან.

სეხნიაშვილი მაყვალა სოლომონის ასული — თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ღუდუშაური შალვა ეფრემის-ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ყაზბეგის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბალხანიშვილი ალექსანდრე გრიგოლის-ძე — დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირის დ. ჭონქაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი № 165

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **მეგრელიშვილი** კარლო სიმონის-ძე — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ციცაშვილი** ჯუმალ ოდგილის-ძე — ი. ჟორდანიას სახელობის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ჯიბინაძე** მარია ანტონის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ბაკურაძე ელიზბარ სარდიონის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბილი ლუდმილა რეინგოლდის ასული — არმაის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის ამრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

ბულეიშვილი ნათელა ამბროსის ასული — თბილისის 62-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

გაბრიჩიძე გურამ ალექსანდრეს-ძე — კავშირგაბმულობის მუშაკთა, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატაქციელების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის მსუბუქი ტაქსომოტორების № 2 კანტორის პირველადი ორგანიზაციისაგან.

ქირია გივი ბესარიონის-ძე — თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ჯაფარიძე რუსუდან ვალერიანის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის ბავშვთა მე-18 პოლიკლინიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

მანჯავიძე ნათელა თერეფონტეს ასული — საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებისაგან.

მესხიშვილი ბორის ალექსანდრეს-ძე — მთავართბილმშენის № 9 საშენებლო სამმართველოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქი № 166

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **გუნცაძე** ნუგზარ ალექსანდრეს-ძე — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ციციშვილი** ჯუმბერ ოდისეს-ძე — ი. ჟორდანიას სახელობის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ჯიბინაძე** მარია ანტონის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ბაკურაძე ელიზბარ სარდიონის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

